

# საქართველო პატრიარქი

ნუმერის გ. ეურნალი

№ 36

## „არ ვინც მალ-ალან“

F644



ო. შალვა

ხარტუხის კლუბმა გადასწყვიტა კვირაში ხუთჯერ მაინც დასდგას ოპერეტა „არ ვინც მალ-ალან“-ი, ვინაიდან ამ წარმოდგენის დროს კლუბში სრული სიმშვიდე და წესიერება სუფევს ხოლმე...

# რედაქციისგან

წელს შესრულდა ხუთმეტრი წელიწადი, რაც მხატვარი რუსთაველისა და მხატვარი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო მუშაობა. ამ 15 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ, შემდეგი ნომერი (37) „ეშხაპის მათრახისა“ გამოვა ძვირფასი მხატვრის პატივსაცემლად, მრავალის კარიკატურებით დასურათებული.

# კეთილი და ბოროტი

გუშინ საღამოს, როცა ელექტრონის სინათლეზე მწვანე პარკობიოს ვარჩევდი, ღრმათ ჩაფიქრდი.

რას არ მოგსწორება თურმე ღობიო განა შექმლათ აი ამ ღობიოს წინაპრებს, (რომელებიც, თუ გამოყიდველს დავეჯერებთ, ძველის ძველათ გურიაში სცხოვრობდნენ,) რომ მათ გაარჩეოდნენ ელექტრონის სინათლეზე? სად იყო უწინ ელექტრონი? იყო მზე და რიცა...

ცხადია მე გუშინ საღამოს სწორეთ ამ მოგონებამ ჩამაფიქრა. მართალია საშინლათ ვბრაზობდი, ვინაიდან ჩემს „გურულ ღობიოს“, წინააღმდეგ მოლოდინისა, კანაფის ძაფივით მაგარი ღლეჯ აღმოაჩნდა, რაც გამოყიდველის პატიოსანი სიტყვის თანახმად არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ პატიოსანი სიტყვა რიდას პატიოსანი სიტყვაა, თუ სიმაართე გამოდგება?

ჰო, მზე... აშკარაა „მზემ“ ჩამაფიქრა. მზემ განვლილ ზაფხული გამახსენა „; „ზაფხულმა“—ხოლერა... ხოლო „ხოლერამ“ ბნი გუბერნატორი და აქედან დაიბადასკიოხი: „კეთილისა და ბოროტის“ შესახებ.

სად იყო უწინ ხოლერა?

სად იყო უწინ გუბერნატორი?

მაგრამ კეთილი და ბოროტი დსაბამითვან არსებობდნენ და თავის არსებობას ერთი მეორის ბრძოლაში ატარებდნენ.

თქვენ არ გინახივართ მე როცა ღრმათ ჩაფიქრებას განვიცდი. ოოო, რა ამავეი, რა გაცხარებული ფაცი-ფუცია მაშინ ჩემს არსებაში. ჩვენს ცხოვრებაში ამ განსაკვიფრებელ საქმიანობას ვექვთ ცალი მოგუზოვო, თუ „ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის“ გამგეობას არ ვავისჩნებ.

მე თქვენ გიჩვენეთ გზა, რომელმაც მიმიყვანა ჩემი ფიქრების საგნამდე. მაგრამ თვით თავნი ვერ ვჯერობით მე თქვენთვის არ გამომხელია. პატარა საკითხი მე ვერასოდეს ვერ ჩამაფიქრებს, დიდს კი არ მოვეწყებო.

ვინ უფრო ძლიერია:

ბოროტი, თუ კეთილი?

ხოლერა, თუ გუბერნატორი?

მე რასაკვირველია მესიამოვნება, თუ პირველობა „ბოროტების“ მხარეზე დარჩება, ვინაიდან იგი მიზანია ჩვენი არსებობისა, მაგრამ მსჯელობის დროს მაინც მიუღლომელი ვიქნები.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითები:

ხოლერას შეუძლია გუბერნატორი მოსპოს.

გუბერნატორს არ შეუძლია ხოლერა მოსპოს.

ხოლერას შეუძლია ღორმუცლობა აღაგმოს.

გუბერნატორს არ შეუძლია ღორმუცლობას რამე დააკლოს.

მაშ გაუმარჯოს ბოროტებს!

ხოლერას შეუძლია საღი სანთოვაც გაახშიროს.

მაშ გაუმარჯოს ბოროტებს!

ხოლერას შეუძლია მესივე წამოაყენოს „უფასო სჩაიების“ საკითხი:

გუბერნატორი ამ საკითხში სრულიად უძლეურია.

კვალად იმარჯვებს ბოროტება!

ხოლერა აიძულებს ხალხს გადადუმებული, წმინდა, წყალი დალიოს...

გუბერნატორი მღვრიე წყალსაც საქმიოდ არ იძლევა.

Viv la Borotebun?


რაც უმთავრესია, ხოლერას შეუძლია თვალსაჩინო სისუფთავე დაამყაროს ქალაქში.

გუბერნატორს კი ეს ვერც რიგით არ ეხერხება.

ჰობ, ჰობ, ბორეტებს!

მე ვიცი, თქვენ, კეთილის მიმდევრები, შენიშნავთ: განა არ გინახავს, როგორ ასუფთავებენ დაბებსა და სამაზრო ქალაქებს, როცა გუბერნატორის მომრძანებას ელოდებიანო.

თანახმა ვარ. მინახავს და ვიცი. ვიცი რომ დაბა ქალაქებში გუბერნატორს შეუძლია ხოლ-



რის მაგიერობა გასწიოს, მაგრამ იქ, სადაც გუ ბერნატორი მუდმივ სცხოვრობს და ხალხი მის კეთილ ხასიათთან შეჩვეულია, განა შეიძლება სისუფთავის დამყარება თუ ბნინ ხოლერა არ მობრძანდა?

მოქალაქენო! გადახედეთ იმ სანაგვე ხეც-ხუცებს და ეზოებს, რომელთა დასუფთავებას დღეს ვგერ ენერგიულათ შეუდგენ ჩვენი ქალაქის მიწები! განა გუშინ არ ყარდა ის ნაგავთა სამეფო! განა მისი გასუფთავება გუშინ არ იყო საჭირო? განა „კეთილი“ (ჩვენი ტერმინოლოგიით) გუშინ ვერ ხელდავდა ამ უსუფთაობას? მაშ რისთვის უცადეს ხოლერის მობრძანებას?

იმიტომ, რომ ბოროტი კეთილზე უძლიერესია ხოლერა კი გუბერნატორზე.“

ღრმა ფიქრებს არასოდეს არ ჩაუვლია ჩემთვის დაუსჯელათ გუშინ საღამოსაც ასე დამემართა.

როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე, შევინაშენ რომ გადანარჩვეუ უყარვის ნაწილს გურული ღობიოსის თურმე ყაზრმიან ქებაში ვყრიდი, ხოლო საუკეთესოს კი სანაგვე კლათაში.

ვმეკი.

# ეპოლიუსია

უწინარეს, როცა იგი მესამე დასელთა გაზეთებს აქრელებდა თავისს ნაწარმოებს ქვეშ მუდამ ასე ეწერა „**ო** ლ.“ მკითხველი, თუკი ასეთი გამოჩნდეს ბოდა, ამაოდ ცდილობდა ამ ორ ასოს ქვეშე შეხიზნულ მწერლის გამოცნობას.

მე არ ვიცი რა დავარქვა მისი მოღვაწეობა-ამ ხანას.

შემდეგ, როცა „**ო** ლ.“ წერილებს უღმერთო წურვა დაუწყეს და საჭირო დარჩა მისი ამ საქაჯავიდან გასვლა, მწერალმა თავისს ნაწარმოებს „**ო. ლლონტი**“ მოაწერა. მახსოვს, ერთხელ მთელი სიღამო ვარკვევდა, თუ რა უნდა რქმეოდა ბატონ ლლონტს: თეფილე, თომა, თადეოზ, თინა, თეო, თენგიზ, თამარ, თექლე, თებრონე, თამაზ, თაყა, თარგამოზ, თარხან, თათარხან, თუ სხვა რომელიმე სახელი, მაგრამ განა შეიძლება ამის გამოცნობა.

შხოლოდ მაშინ, როდესაც „**ო. ლლონტი**“ ეროვნულ მუშათა ბელადი შეიქნა, როდესაც მისი ნაწერები ორ ტოტათ გაიყო და „ზეირთ-სახალხოთი“ ეროვნულ საკითხს წაუღკას უპირებდა, მისი წე-

რილების ქვეშ აიხსნა ჩემი საიუწყებლო და მე წავიკითხე **„თედლორე ლლონტი“**.

უნდა გამოვრტყედეთ, რომ მის წერილებში მე მხოლოდ სათაურსა და ბოლოს კეთიბულომ, მაგრამ განა მარტო მე ვშვები ამას?

გადაწლი „ზეირთს“ — **თედლორე ლლონტი**

გადაწლი „სახალხოს“ — **თედლორე ლლონტი**.

მაგრამ სულ მალე ჩვენ კვლავ ცვლილებას ვხედავთ ამ ღირსეულ სახელში: „თედლორეს“ მაგიერათ აღნიშნულია „თედლორე“. ცხადია ვინა ი ზედ მეტი დარჩა და ვარისხულ იქნა.

ამ ხანებში მწერლის პაპულიარიზაციამ ძლიერ იმატა, რასაც ხელი შეუწყო ჩვენს ქურნალში მოთავსებულმა თედლორეს სურათმა. მართალია მის წერილებს დღესაც არაფერ არ კითხულობს, მაგრამ მისი სახელი ყველგან გისმის. თუ არჩ. ჯაჯანაშვილი არჩ. ჯორჯაძის მეკიდრვა, თედლორე ლლონტი თამაშად შეიძლება არჩ. ჯაჯანაშვილის გაგრძელებათ აღვიაროთ. „მეურნის“ გამგეობაში მისმა არჩევამ „ახალი კლუბის“ წევრთა შორის სახელი უფრო გაუხშირდა და აი,

მის უკანასკნელ წერილებზე აწერია არა „თედლორე ლლონტი“, არამედ მოფერებითი, სასიყვარულო გამოთქმით „თედლო ლლონტი“.

ისტორიის განვითარებას წინ ვერაფერ დაუდგება. ევოლუტია თავისი გზით მიმდინარეობს და ხალხის სიყვარულთა თავისს შვება. თედლორე გლმების ლუკაშვილზე უკეთესი მოღვაწე თედლორე წარმოუდგენი-ათ და რა გასაკვირია ქართველმა ერმა „თედლო ლლონტს“ მომავალში გვარი სრულიად ჩამოიკალოს და დასტოვოს მარტო „თედლო“.

ჩვენს ისტორიას ახსოვს ასეთი მაგალითი, თორემ მე არ ვაქვარდნიერდებოდი საოლოზბედლოთ დამესვა კოთხე. თქვენ ყველას გემახსოვნებათ, რომ ჩვენ გყავდა მგოსანი აკაკი წერეთელი. იგი იმდენათ ცნობილი შეიქნა ჩვენში, რომ მარტო სახელიც საქმარისი იყო მისთვის და ასეც შეგობდა: მის ლექსებს (წარმოიდგინეთ იმასაც, რომელიც ეკსარაჯიშვილის ნათლულსა და ივ. მაჩაბლის შვილი ნიკოს წუკითხავს და რომელიც მოთავსებულია „საქართველოს“ დამატებაში) მარტო აკაკი ეწერა.

ჩვენ მალე დავინახავთ წერილებს რომელსაც ბოლოზე ეწერება: „თედლო“ მაგრამ არ ვიკითხავთ არც წერილს და არც მისი ავტორის ვინაობას იმდენათ ცნობილი იქნებთან ისინი.

აკაკი და თედლო

მთარეილი.

# მ მ რ მ დ მ

სახელი იმა მხარისა  
 სითაც მზე ჩაესვენება,  
 ვეონებ თქვენთაგანს, მკითხველო,  
 უკელას კი მოეხსენება.  
 ჩვენ წარვიტაკით წინილგან  
 ოთხი ანბანი მისია,  
 სხვა უკუვაგდოთ. (რათ გინდა  
 რაც ჩვენთვის უვარგისია.)  
 ახლა რაც გინდა, ის სიტყვა  
 ყოველ წამს გვესმის ყურშია,  
 როს ის ცხადდება გვიწვევენ —  
 სამხედრო სამხატურშია.  
 ნუ გავიკირებთ ნურც ამით  
 საქმესა გაუკირველსა,  
 და მასაც ისე მოვეპყრათ  
 ვით მოვეპყართ პირველსა.  
 ნაწილი ესე შარადის  
 ისე მოგზმის პირველსა  
 როს ასოს, რიცხვით მესამეს,  
 მათ შუა მიესცემთ ბნანსა.  
 ახლა მოენახოთ გახეთი  
 აღესილი ღვთისა მადლითა,  
 ორგანო ქართველ ვაჟრების  
 ქართული ალაბ-აღლითა.  
 სადაც არიან ერთგულნი —  
 „დამკველნი“ ქრისტეს მცნებისა,  
 სადაც გაისმის ღაღადი  
 ქართველ ბერ მონაზვნებისა.  
 ვისაც სამშობლოს ბურჯობა  
 მრავალგზის დაუკვხნია,  
 და ყოველად შეუფერებლათ  
 გამხდარა მისი სენია.  
 მასაც ვეძგერთ წინილან,  
 როგორც გველდი ქარია  
 და ამოვადრთ კბილები  
 ხუთზე ნაკლები ორია.  
 აწ რკინეული გვეკირია,  
 ნამგლისა ნათესავია  
 მრავალსა ნორჩსა მცენარეს  
 მით დღე უდგება შავია.  
 ამ სიტყვის წინა თანხოვნის  
 და ხმოვან ასოს შუაში,

თუ ჩავსვავთ ასოს მეფე **ქვეყნის**  
 მოსავლია ქუთაში. **ქვეყნის**  
 და თუ ავაწყობთ ნაწილებს,  
 როგორც შარადის წესია,  
 მოგვითავდება სსსაქმო  
 რიც სულ უკეთებია.  
 და იმა სახელს ვუწოდებ  
 იმა „ახალსა ამბებსა“  
 რომელმაც დასცა თავზარი  
 იმერთა ქალქ დაბებსა.

კვანი.



## სასარგებლო ცნობები

(ქართული კალენდრებიდან)

### ბ რ ც ი ს და რ ა ბ ი ლ ი ა ბ ა

„აღუღდება თუ არა ქვაბი მაგარის ხორცით,  
 მოხადეთ თავი და ერთი კოვზი წმინდა პურის არა-  
 ყი ჩაასხით. ხორცი ძლიერ მალე მოიხარშება, დარ-  
 ბილდება და არც არაყის გემო ექნება“ (25 აგვის-  
 ტო, ქ. თვავარქილამდე).

P. S. ამავე მიზანს სხვა საშუალებითაც შე-  
 გიძლიათ მიადწიოთ:

ა) მიბრძანდით საყაპოში და მოითხოვეთ  
 ხორცი თანახმად ქალაქის ნიხრისა. მუყასზე შემო-  
 გიკურთხებს, თქვენც შეუკურთხეთ. ის მოიწვეს  
 თქვენზე, თქვენც მიიწიეთ. თუ ხორცის კარგათ  
 დარბილება გსურთ, ანდა ზორბა და ღონიერი ყა-  
 საბი ამოიღოთ ნიშაში.

ჩინებულთა, თუ ყასაბს გოროდოვოიც წამო-  
 ეშველება.

ამგვარათ დარბილებულ ხორცს უნდა წაუსვათ  
 იოდის, ან შემოაკრათ კომპრესი და რამოდენიმე  
 კვირით გასკიპოთ საწოლზე თბილი საბნის ქვეშ.

ბ) შეგიძლიათ ქუთაში გაქანებულ ავტომობილს  
 გზაში გაეჩხიროთ და ზურგი მიუშვაროთ. ხორცს  
 ესეც საუცხოვოთ არბილებს.

გ) თუ მკირეწლოვანი ბრძანდებით შეგიძლიათ



მიეპაროთ მასწავლებელ დ. ბ.—ძეს, ისიც ჩინებულათ არბილებს მაგარსა და მოუხეშავ ხორცს.

დ) საქმარისად მიადწვეთ მიზანს ხორცის დაბილებსისა, თუ ხარფუხის კლუმში „არშინ მალაღანის“ წარმოდგენას დაესწრობით.

ე) უკანასკნელი, მაგრამ უებარი საშუალება ხორცის დაბილებსისა გახლავთ ხელზე მოსამსახურეთ შეესვლა სასტუმრო „ვე—ში“ და იქ შექვიფიანებულ პრ.—სთვის ანგარიშის მოთხოვა.

**წახალმობილი ფეხსაცმელი**

„აიღეთ 2 ბოთლი სელის ზეთი, ცოტათი გაათბეთ, მერე შიგ ვადნეთ 60 გირვანქა ქონი, 6 წმინდა სანთლის კოჭი და ამოდენივე ფისი. როცა გენებოსთ, ეგ ნელთბილი წამალი წაუსვით ჩექმას, არც წყალს შეუშვებთ, არც სინესტეს.

(27 აგვისტო, ქ. თავართქილაძე)

P. S. უკეთესი საშუალებაა: აიღეთ 3 ფუთი წმინდა ქვიშა, 1/2 ფუთი დუღაბი და ხუთი ვედრო წყალი. აზილეთ ერთი მეორეში ვიდრე მიიღებდეთ ფელამუშის მაგვარ სითხეს. ამას მიუმატეთ წვრილი დერლი, ასე 1/2 ვედრა. მიღებული ნივთიერება მაგრათ ჩასტევენთ ფეხსაცმელში, ვიდრე გაიყვებოდეს. გააკეთე და გამაჰრეთ.

ასეთი ფეხსაცმელი არ შეუშვებს არც წყალს, არც სინესტეს, არც ქარსა და არც ფეხს.

ექიმბაში.



**გ ა მ ო მ ა ნ ა**

(ფოთისათვის)

თმა თეთრსა და უღაშ-შავს მუშაკათაც სახავს თავს, ეს კულტურის მსახური (თუ არ ასეთი კახური.)

ეომება ბურჯუებს, ვითომ პროლეტარია, თუმცა ქართული ვაჭრობით ქანქარს ხელი დარია

წლოებით იცავს რაქმის როგორც მაჰმადიანი,

რომ ნუნუსს ვაღიენით არ მიადგეს ზიანი.

მარა როცა დადგება მისი ბიარსევა\*\*)

ერთად შესვამს დანაბენს ნახავს „კაი რამეა.“

როგორც ზოგი სარდალი, (უკან მსვლელი ჯარებით)

ანგრეცს, ამტერეცს ყველაფერს, ვერც კი წაეკარებთ.

თუ არ გჯერათ, მიბრძანდით კაპარქინის პირათა,

დაშლილ—ხიდე ლობებეს თქვენ იხილავთ ხშირათა.

საჭიროა მათრახი, თავის გრძელი კულითა

ას ოცი აქვს მისჯილი ჯოჯოხეთის „სულითა“.

ბუტუნა.

**მოფხილური გაბარსება**

მიხილს ძალზე უყვარდა მოგზაურობა. არა ნაკლებ უყვარდა მას ყოველ დღე წვერ-ულვაშის პარსეა. ერთხელ, კავკასიის ქედის კალთებზე მოგზაურობის დროს, მან სამართებელი დაჰკარგა. საგონებელში ჩავარდა მიხეილი, რადგან სამი დღის განმავლობაში მისი სახე შეიწოხა გაუფილი სქელი ბალნით...

ერთი კვირის სიარულის შემდეგ მიხეილი კარგა მოზიდლ სოფელს მიავიდა და პირველივე კითხვა მისი მიმართული მოსახლეებისადმი იყო:

— ჰი, ძმობილო, აქ თქვენ დალაქი არა გყავთ?

— როგორ არა, შენი ქირიმე! იი, იმ სახლში ცხოვრობს პეტრეი! ის არის ჩვენი დალაქი. — იპოვა მიხეილი პეტრეს სახლი.

სალამომდე, ვიდრე პეტრე ყანიდან დაბრუნდებოდა, სტევენასა და პეტრეს მერულე თებროსთან დაპარაკში გაატარა.

პეტრეც მოვიდა.

— ამა, ჩემო პეტრე, შენზე მიხერეს კაი დი-

\*) რამზანი—მარხულობა.

\*\*) ბარამე— ახსნილება — ადღეობა მაჰმადიანთა.



ლაქიაო. ამა ერთი შენებულათ გამისვ-გამომოსვი სამართებელი, თორემ კაცს აღარა ვგეგვარ.

მაღე ჩამოასკუბა დალაქმა—პეტრემ მიხეილი ქვზე, სკაშზე სარკის ნამტრევი ასკუბა, რომელ-შიაც მარტო ცხვირს თუ დიანახავდა აღამინი, გაქ-ნა სარეცი საპონი თიხის ჯამში, გაღესა ხერხის მსგავსი სამართებელი ქამარზე, დიფურთხა ხელზე, გაუსვა სპნის ქაფი მიხეილის ბაღნით შემოსილ ლოყებს და შეუდგა ფეკას... მიხეილმა ყველაფერი მოითმინა... ორგან-სამგან ესლაც ამჩნევია მიხეილს პეტრეს სამართებლის ნიშნები...

ბევრი წვალეების შემდეგ შეასრულა თვისი მი-სია პეტრემ.

- კაცო, უღვაშები რაღაზე დამატოვე?
- უღვაშები?
- ჰოი.. რატომ არ გაპარსე უღვაშები?
- უღვაშების გაპარსვა ვინ გაიგონა?
- შენ რა გინდა, კაცო! გაპარსე, მორჩა და გათვალ!

პეტრემ პირჯვარი გადაიწერა.

- კაცო, უღვაშები როგორ გაგპარსო?
- როგორც წვერები! გაპარსე კაცო!
- არა, ძმობო, მეგრე გინდა, რომ ერთი ამბავი ამიტეხო და სულში მიჩიელო? მაგის გულისთვის კატორღაში გამგზავნიან.

განცვიფრდა მიხეილი!.. ბევრი ეჩხუბა, ბევრი ეხეწო, მაგრამ ამაოდ: პეტრე უღვაშების გაპარსვა-ზე ცივ უარს ამბობდა. და არც სამართებელს ანე-ბებდა მიხეილს—ხათაბაღა არაფერი ამკიდოსო...

- მაშ, რა ექნა კაცო?
- იი, თუ გინდა პოლიციით გაგპარსამ.
- როგორ, როგორ?
- ტარშინას მოიყეყან, ხელ-წერილს ჩამოგარ-თმევთ, რომ არ მიჩიელებ და ვაგპარსამ.

მოიყეყანს „ტარშინა“ ზაქარა, შეადგინეს ქა-ლადღობო, მოაწერინეს ხელი მიხეილს ქალადღებ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა მისი უღვაშები განა-დგურებული, გაკვირვებული სოფელელების თანდას-წრებით...

მიხეილს ხელ-წერილის ასლი შენახული აქვს. აი, რა სწერია მასში:

„მე მსხილ იოსების-მე კეხამე გაძლევ ამ ხელ-წერილს შენ დალაქ პეტრე გურასაშვილს, იმაში, რომ ჩემი თხოვნით გამპარსე ჩემი საკუთარი უღვა-შები და მე არაფერს სულში ამაზე არ გიჩიელებ.

მიხ. კეხამე. ამ ხელ-წერილს ვაშორებ ანაზ ცხრასს თექვსმეტ წელს ხუთ თიბათვეს ს. ქედისძირის მა-მასახლისი ქორიშვილი“..

ამისთანა ამბებიც ხდება ქვეყანაზე!

გზაგული.



# ალეასხანი

გავარდა ზარბაზანი და ღმერთმა ისე თქვენნი მიკვალებულები გამოაღვიძოს, როგორც მე გამო-მეღვიძა.

ე, ბიჭო, აღმასხანა, თუ ვარგხარ, ახლა გამე-ჩინე შენი ზალაქენია მეთქი. მთელ ქალაქში პირ-ველი პოვაზი ხარ, —საუკეთესო გასტინცაში მსა-ხურებ, რაზე გაყამდიდრო სხვად ჩემი შრომით; მო-დი მე თითონ გავაღებ სტალიავის მეთქი. მიყვდი ხაზინთან და ვეილე რასწითა. ერთი ჩავფიტრიდი...

ბიჭო, ამ სტალიავოს რომ აღებ, შენც ხომ ისე უნდა გპარონ, რავარც მე ვპარავდი ჩემს ხაზინს! ჰა, მა-გას ვერ ვიზამ? მე უფრო კარგად მოვაწყობ ჩემს საქმეს—მეთქი და გადაწყვიტე ცოლის შერთვა. ვიშოვნი სულის მეგობარს, მარჯვენის ახზანავს და ორი ერთად კარგად წყვიყვიანთ ვაქრობას — მეთქი... მარა, ვინ შევიერთო! გოროდსკოი ბარიშნა? ავა-პა! იმის შლავკას და ტუფლებს არ ეყოფა ჩემი ნა-შოვარი და მაშიჩემის დანატოგები! ისევე შევირ-თავ სოფლის გოგოს, ნაკოლკას დავახურავ, წუ-ლას ჩავაცემე—ისიც კმაყოფილი იქნება და მეც ეკომონისა გაეწევე.

ასეც მოვიქცეო. წვედი სოფელში, ამოვარ-ჩიე ერთი ძეგლ მავარი გოგო და დაეიწერე ჯვარი, ახლა მის სიღამაზეს არ იკითხავთ?

ოცი წლის ნახენდა ქაი ცხენივითა ჰქონ-და ქვედა ტუჩი ჩამოშვებული. თვლები—ერთი ფრანციაში იყურება, მეორე—ჩინეთში. ცხვირი აქვს ამფართე. ტრაბიზონ ში რომ ქვა ისროლო, იმას მოხედება ცხვირზე. დაბალი ჯუჯგი და კუ-ზიანი.

არ იკითხავთ, რატომ შევირთეთ ეს მშვენიერება?

რაც მე ჩვენი ქალების ეშმაკობა მინახავს, ლამაზ ქალს რაფა ვაფაქუნებთ ოჯახში? ერთი თუ განზე მიიხედეთ—გატოვია სიყვარული! ჩემ ცოლს კი, ძალიანაც რომ მოუნდეს არ შეიყობა, რომელი ვაყვავია იქნება ერთი შეხედოს და კულდომწვარ კატასავით არ გეჭკეტეს.

ახლა ჩაიკმა?! ერთი როტა სალდათის შენახვა ჯობია ერთი ლამაზ ქალის შენახვას!

ჰო და ვიფიქრე, არც ხარჯი მეტნება, არც არავინ გოლარშეუდება მეთქი. დევიწორე ჯვარი და ჩვეიყვანე თფილისს.

სტანკიდან დაწყებული ჩემს ბინამდე სულ კვილა-კვილით მივიყვანე. რამდენი მაღალი სახლი ნახა, იმდენი იკვილა.

ვარანკოვის ჰამბატნიკს რომ შეხედა, მკითხა,—ი აკი სულ ასეა გაჩერებულით? რომ კამები და ბათინები დეინახა ქე არ შეეჭნა გული! ჰო გენაცვალე! გაჩერებულთა, მარა რომ დაღალდება ქე ჩამოედება ქეზე, მეთქი. მალაზიებში, „უთ, რა კიაა!“ წამოიძახა ერთი. „აგი მეტ ქე დამშვენება!“ ჩამოლაპარაკა მეორე. „აო, ისე დაგიშვენდა გვარი. შენ რამე დაგშვენდეს მეთქი! ვიფიქრე და გადავწყვიტე ქუჩაში აღარ ვავატარო, ჩავეტე ქუჩაში და ვარეციხე პასულა.

ვაქრობა—სიკოსტანტ გუქეთ, ჯარგი მქონდა. ნახევარ გინვანქა ხორცს ვავიციდი სამაგერ. ჯერ მოვხარწავდი სულს! ჰო და მუშტარი წვეს თუ შეხვრებდა, თვარა ხორცის არ შეგვამოს ჰირმის აქ რომ ვაჭკრავდა კბილს, მეროვ გვერდით გამოავორებდა. კარგად რომ გამოსწუწნიდა წვეს გაღმოდებდა თფშეზე. ამ ნაღვეტ ლუქის დაგვიპავიდი და ვაკეთებდი ბეფ-სტროგონოს. მუშტარი თუ ძან მოშივებული იყო, ქე ულაპავდა ინდაურივით თელ-თელათ, თუ არა და გამოსწუწნიდა სმეტანს და გადმოყრიდა. ჩაუძახებდი მაშინ კამი, დავფაქვდი და ვაკეთებდი კატლეტას, პერაყვებს ან ბიტკი სლუკომს... ჰე, აქნა თავდებოდა ერთი ნაქერი ხორცის ოპერაცია.

ასე ამგვართ ქე მიდიოდა ჩემი საქმე კარგად, რომ ჩემი მზეთ უნახავი არ ვაღამეროდა.

ერთ საღამოს მივედი სახლში დაღლილ დაქანსული და მივეგდე ლოგინზე, მოვიდა, თავზე ხელი გადამსავა და მაკოცა. ცოლვა გამძღვანებულნი სჯობია, ქე მაიმა პატარა! სახეზე რომ ღმილი

დამინახა კილო მაკოცა. მევედენუსზე დაეხუჭე თვალები და მეტ ვაკოცე. ~~აქვე, აქვე~~ მიწა არ დამეყარა ტუჩებზე! მომხვია კისერზე ხელი და ენა მოჩლექით მითხრა: „აღმასან, მე ბაჩჩები მინდა!“ უცბათ გამკრა კინკრისოში. „ბაჩჩები“ რა შენი სვედილია—მეთქი? ბეჩა, არ იცი, ტუფულ-ბიო! დეერთო, რატომ სულს არ ამომახდენ, ამას ტუფულების სახელი უსწავლია, ვეწი და წამოვარდი! შე გლახა, შე მათხოვრის შვილო! შიშველი ფხითი ტალახში და ქვებზე ნარბენი ფხებები დახეთქილი გქონდა და მე აქ 40 მ. ტუფულებს მახოვ?! არ განახს ჩემა თვალებმა, ეიკარი ბარგი და გასწურენს სოფელში მეთქი! ატყდა ჯოჯოხეთი! ყველა სიკეთესთან ისტორიკა რომ ისწავლა!

რა ეჭნა დაღალული კაცი სახლში დასასვენებლად მოვედი და რა სასიამოვნოა დედაკაცის ტირილი, ამოვიღე ოთხი წითელი ქალღილი და მივეცი.

მგონია ამით გათავდა მეთქი... არ შეგვამოს ჰირმა. ჩემდა საუბედუროთ ქე არ დაცხა!

ერთ ღღეს ჩამოლაპარაკა, „ქვეყანა დაჩაში მიდის და ჩვენ რა სხვაზე ნაღვლები ვართო.“ ვეჭმ, ეს ძან შემომპარა მეთქი და არ ვაგეცი ხმა. დედა რომ აღარ მომასვენა! „კასტრულიკებიც კი დაჩაში გზანთან თავინთ ცოლშვილს და ჩვენ ხომ რესტორანი გვაქვს.. რატომ არ უნდა წვევიდეთ დაჩაშიო? კიდრ წვევიყრეთ მარა დედაკაცთან რამეს გახდები თუ?! რომ მყოწყო პრუენა—ეიჩემა! დაჩა, დაჩა, დაჩა!!! ოი, ვაგჩაჩა ჩემა სალოცავმა! გამიჩინა ჯოჯოხეთი. გადავწყვიტე, გავუშვა დაჩაში, მარა მარტო რაფა ვაუშვა? ის ოჯახ დასაქვევი ბრუენაია—ან ფაიჭონი გასრესავს, ან ვინმეს დეეჯახება და ცოლვა ამიდულდება მეთქი, დავადევი ბოქლომი ჩემს სტალიავოს და წვევიდი დაჩაში.

გაუყვარე პოდრუქი და ვავატარე პარქში. რომ დეინახა ეს მუღღებამდე დაკანიწებული და გულ მოღღეტილი ქალები, ე მოღღრენცილი თვალეები რალანაირათ გაუშტერდა... ერთი დამცეცხლა, არ მიამი, მარა ვაგწმდი და ველი, რა იქნება. „ბეჩა, რა კი ჩაქმულები არიანო! ჰაა! ღმერთი არ ვაგეწყრეს, არაფერი მომთხოვო, თვარა რომ ამოგკრავ პანდურს, პირდაპირ შენს სოფელში დაგაგდებ-მეთქი! გავიგონიან დედაკაცი რამემ შეაშინოს? რომ მივედი სახლში— ერთი მაკოცა. რაჯე

# სტენა ერთ ქალაქში



რახმელი. რას იცინით, გზა უნდა დაფულოცოთ!  
სხმეში. დაფულოცოთ, დაფულოცოთ.

არ მიამა ე კონა, მარა რას ვიფიქრებდი. ვახშობ რომ დავჯექით დამადვა მხარზე ხელი და მითხრა: „იცი, აღმისხან, ძალიან გულით მინდა კლოში!“ კი, გენაცვალე, ახლა რაღა დროსია და ხვალ შეგიყვან საუკეთესო რესტორანში და ერთის მაგივრათ ორ პორციას გაქმეე მეთქი. „შე სულელო, კლოში საქმელი კი არა, ჩასაცმელია... კაბაო?—რომელი კაბა-მეთქი?—ახალ მოდის კაბაო! კაბაო! დედა, მომეკიდა ცეცხლი! ამ სასიკვდილეს ერთი შალის კაბა აქვს, ერთი ჩითის, ერთი სატინის და ერთიც, ოი, გაგიშავდეს გვირგვინი, ერთიც საგვირგვინო, და ახლა კილა კაბა! მერე რა კაბა! ახლანდელი კაბა! რო გაფინო მინდორზე და კი ლაფშა ცხენით იქენო სამ დღეს ვერ შემოუვლი! ვეღარ მოვიტოვინე, დეტაცე ხელი ქაფქირს, ვესროლე და წვივის ძვალი შაბივით გადაუტყვირე.

ახლა ფეხბოტებილი გდია ლოგინზე! არც კლოში უნდა, არც კალოში და აღარც პოლსაპოში.

ჰო და ვინც ამ სიძვირეში ცოლს შეირთავს, ჩემზე უარესი დღე მოელის.

ვალ. შალიკაშვილი.

## სიგლარა მოსტაუბულ გუიხის

ვაჭვირებამ მაძულა  
ამ საზღაპრო დუხტირ დროში,  
განვიზრახე სადმე წასვლა,  
შემეძინა ცოტა გროში.  
იმ დროს ჩვენში თარეშობდა  
ნიკო, ჩუმი გაიძვირა,  
ვილაცისგან მინდობილი  
ჰქონდა მუშა აეწერა.  
იმოდენა ილაცლაცა  
ბეჩავს გული ამძვიერა  
და ჯოჯოხეთს წასასვლელაო  
შემეცდინა .. დამაჯერა.  
არ გასულა ერთი კვირა,

რომ შემეძებნა ეს ამბავი:  
 ჩვენი გულა და ნაბადი,  
 შიგ „ჩაურბუქში“ გვიკრა თავი.  
 რასაც გზაში გვირდებოდა  
 ნიკო, ჩუმი გაიძვერა  
 თურმე იგი თამასუქი  
 ცივ ყინულზე წაგვიწერა.  
 იქ ჩვენ ბევრი უცხოც დაგვხვდა,  
 ვინც არ იხსენებს ქებით,  
 ასჯერ ფლიდი, შემპარავი  
 ჩვენს ნიკოსთან შედარებით.  
 მელუქნე ჯიჯიეშვილი,  
 იოსებ და ისაკია  
 რაც კაცისთვის საჭიროა  
 იმათ სწორეთ ის აკლია.  
 მათი გირვანქა ჩარეკობს  
 მანეთს ღებულობს შაურად,  
 მუშის ზურგი გაიხადა  
 მან გემრიელ ხაქაპურათ.

ელაქუტება უცნობებს  
 ექცევა ვითომ ძმურათო,  
 როცა მიინდობს, გაიხდის  
 მას მყისვე საწველ ფურადა.  
 ბატონი საშსონ საჩინო  
 აქ არ ღირს მოხსენებლად  
 ფულისთვის ძმასა გაყიდის  
 გულს მიინიჭებს შეებას.  
 ეშმაკი და შემეცოდავი,  
 როგორც ტურა, როგორც მელა,  
 მუშა ხელში ვინც ჩაიგდო  
 გაატყავა ერთობ ყველა.  
 ბუმცა მათ ბევრი იმსხვერპლეს  
 მუშა შავი, უმბედური,  
 მაგრამ ბოლოს წამწარდებათ  
 სხვისი ოფლის მონაწერი...

შხამიანი.

# პატარა ფელეტონი

## ბ ე ლ ე ფ ე ლ ე თ ა ნ .

2

— ძინ, ძინ, ძინ!  
 — ვინ იძახის?  
 — მე კი არ ვეძახი, ვლპარაკობ!  
 — ვინ თქვენ, ვინა ხართ? რა გნებათ?  
 — განა ველარ მცნობთ!  
 — ვერა!  
 — სასაცილოა ლმერთმანი, სამწუხარო რომ არ იყოს!

— აა, ვიცანი, ვიცანი.  
 — აბა.  
 — ვასო აბაშიძე!  
 — ხა-ხა-ხა-ხა... ვასო აბაშიძეო? რა მსგავსება...

— მაშ, ვინ ხარ, კაცო, რათ ხუმრობ? ხომ იცი ახლა საოხუნჯოთ არა მცალია...

— არც მე მოვსულვარ საოხუნჯოთ; დიდი, სერიოზიული და მასთან კუროზული საქმე მაქვს თქვენს რედაქციასთან!.. უნდა გამისწორდეთ, იცით თუ არა, უნდა გამისწორდეთ!.. ახლა მიცანი ვინცა ვარ?

— ახლა სრულებით აღარ მსურს თქვენი გაცნობა...

— ეგ თქვენ ვერ გიშველის; უკვე გაბმული ხართ ხაუნჯში.

— რაშია საქმე?.. ნუ მაცდენთ ღეთის გული-სათვის!

— ეგე, ძალიან იოლათ მოგინდომებია გადაჩენა! თქვენ დიდათ პატივცემულ ორგანოში ჩემი აღმატებულების შესახებ ღანძლე გინება ამოვიკითხე. როგორ ბედავთ თქვენ ამას?! ვინა გგონივართ მე?..

— ბატონო ჩემო, გვაუწყეთ თქვენი ვინაობა, ვიცოდეთ ვისთან ვვაქვს საქმე. მეტათ შორიდან იწყებთ, აქთანურებთ საუბარს და მე არ მცალიან ფელეტონი უნდა დავებულო?

— რაიო? ტელეფონი უნდა დავლექოო? აბა გაბედეთ...

— ნუ ხუმრობთ, თუ ლმერთი გწამთ, ტელეფონს რას ვერჩი; ფელეტონი უნდა დავსწერო და დავებულო.

— ჰოო, ეგ თქვენი ნებაა!.. მგერაჰ ჩემს სალანძღავათ ვინ მოიცალა ამ ღღერებში?.. რა შეჩიღება მაცნობათ?

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ნიკოლოზ ჯინჯილოვი გახლავარ! ერთი პატიოსანი, უწყინარი, გულაალი კაცი ვარ და ვინ შეუბო ჩემს პიროვნებას ისე შეშებრალეზლოთ, ა?.. მაცნობათ და შემდეგ მე გაუფსწორდები მას... ის ვიღაც „ქარხალელია“, გაუზღედი, მუტრუკი! რათ ამოფარებია ფესღონის, თუ იმას სიმართლის თქმა უნდოდა, აჰ?.. მითხარ, გამაგებინეთ... რაჟი ფელეტონებს სწერთ, მაშ რედაქციის თავი და ბოლო თქვენ ყოფილხართ!..

— ოო, ახლა ვიცი ვინც ბრძანებულხართ — ნიკოლოზ ჯინჯილოვი! კეთილი და პატიოსანი, თქვენ შეგიძლიათ თავი იმართლოთ ისევე ჩვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით.

— რას ამბობ, კაცო! მე ახლა უკვე მოხუცებაში შევდგა ფეხი და თქვენი გაზეთის თანამშრომლობა გინდა დამაწყებინოთ? მეორეც — მე კარგათ ქართული წერა არც კი ვიცი, თუმცა ძველი ქართველი ვარ, განთქმული გვარიშვილი! მე მოკითხვის წერილებს სხვებს ვაწერინებ ხოლმე როცა დამპირდება...

— ბატონო ნიკოლოზ! ჩვენი რჩევა ეგ არის: აუცილებლათ კულტურული საშუალებით უნდა ინებოთ იმ კორესპონდენტთან გასწორება, სხვას ჩვენ ვერაფერს გირჩევთ... შემოიარეთ რედაქციაში და უფრო დალაგებით მოვილაპარაკოთ... ნახავდის!

— არა, არა, მადროვე ცოტახანს, თუ ლმერთი გწამს... მე ბოღმები გულის მიკლავენ... ჩემი მამულდელული ბანკეშია დაგირაგებული და „პროცენტების“ ფული არ მაქვს, რომ შევიტანო თავის დროზე... ორი შვილი ომში მყავს და არ ვიცი რა მომლის... ცოლი, ჩემი ერთგული და გამაზნევებელი ხეირაშუე ავათაა... აც ერთი ექიმის წამალმა იმას არაფერი უშველა...

— მამატივეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, აღარ შემძღია მეტის მოთქენა; ფელეტონს ველარ მოვასწებ სახვლიოთ.

— აბა-აბა-აბა-აბა, არაფერი გზით, არაფერი გზით არ შემძილია თქვენი მოშორება, სანამ ყველაფერ ჩემს გასაქირს არ აგხსნის, არ გაცნობრთ თქვენ, სასიგადო მოღვაწეს... ჰო, წამალი არ წავიდვა, ფული ნასესხები; ნავალები ტყუილა იკარგება



აფთიაქებში... მაშ, არ უნდა გამელანდია ის აფთიაქარი? ის კი არა, უნდა მომეკლა!.. ესლა გამომდგარა და გაზეთი მლანდღავს, ათას ჰორებს მიგონებს: როდის მივიწიე მე ჯობით საცემრათ? მართალია ორიოდ სიტყვა ცუდი ვუთხარი წამლის გამოცირების გამო, მაგრამ ჯობი არ მომიღერებია; ტყუილია, სულ ტყუილს სწერენ გაზეთში... ამისათვის მან პასუხი უნდა აგოს... ორში ერთი: ან მითხარით, გამაგებინეთ ვინ არის ის „ჭარხალელი“, რა კაცია, საიდან გაიგო ის ამბავი, თავისი საკუთარი თვალებით ნახა, თუ არა; ან და თქვენ უნდა ბოდიში მოიხადოთ, როგორც შემედარმა და კორესპონდენტის მიერ მოტყუილებულმა... უნდა აცნობოთ ქვეყანას, რომ მე ჯობით არ მივეწუღვარ აფთიაქარზე... ეს სისხლის სამართლის საქმეა... უნდა დამიბტკიოთ...

— დამშვიდდით, ბატონო ნიკოლოზ, დამშვიდდით; ყველაფერი გამოსწორდება... შემოიარეთ რედაქციაში, ხომ იცით სადაც არის მოთავსებული, ნომერი...

— ეგჰ, კიდევ რედაქციაში.. მე იმ რედაქციაში, სადაც მლანდღავენ — ფეხის დამდგელი არა ვარ...

— მაშ, პასუხი ვაგოგავენთ, დაჭეკადეთ... ესლა მშვიდობით აღარ მკალიან...

— ძინ, ძინ, ძინ!  
— მოიცა, მოიცა, ერთი კიდევ უნდა გითხრათ...

ტელეფონი დაღუბდა.

ალბურჩონი.

### აკინის გვის მთავარი სახალმსო (სცენა)

გავარდა ხმა: სახელოსნოში ხალხს ღებულობენო... დავაწერიე „პრაშენი“, მიუტანე ნაჩაღნიკს და მუხლოს ჩოქით დვევქანე: გასაღინ ნაჩაღიკი, ნი იმეტი ნი დობა, ნი ბედელი, ნი კუსოკ ზემლა, პაშირაიში სიმესტვა გალოდა და პრინიმატიკი ნა მასტერსკოუ, მეთქი. ჯერ გეიცინა და მერე მითხრა: პრინიმატიკო.

დეიწყე მუშაობა: გათავდა თვე და ვნახე ჩემი ტამილი... ვნახე მარა რა ვნახე, თლა მარსკლაგივიეთ მოკედლილია წითელი მელნით. 18 ჩასოვ და

18 ჩასოვ, დავთვალე და გამეყინა ერთ თვეში სულ 72 დღე და 2 საათი. ვაკვეთილ დე აგრა, ვიფიქრეთ თუ ასე ვიშუშავე ექვს თვეში გადავსახლებ ჩემ მეზობელ ივანიკას-თქვა. გვეილა კილო ერთი თვე და ქი არ მომენტრა იმერული ხარჩო და ლომი მივედი უფროსთან და უთხარი: ესლი პუსტიტი ნა იმერეთ, კაკ დრუვოი ნისოტ ტებე ინლოურ, ბატ, გოკ, ისთე მეტ მოგიტან მეთქი, მარა არ შეგეპმოს მიწამ. მეყეინა მარა რას ვიქედი?

გვეიხვედ ერთ დღეს ევედი პარაოზე, ჩემდა საბედნიეროთ დამისრიალდა ფეხი და ბრავანი მუაღინე ძირს. ვავაქანე ფეხი, რას გააქანებ, ზედ მუხლთან ვადამტებია. ვავკეთილი კაცი და ავია, თუ ვიშოვე ოტპუსკი ახლა თქვა ვიფიქრე და შეეჩოჩი კანტორაში, — გასაღინ მასტერ, ნოვი სლა-მალ დავიო ოტპუსკ მეთქი. ჩორთ სტაბოი დიიომ დუა დნიავო.

გამოვჩოჩი იქიდან, მივეცი სტაროკს ორი შაური...

გვეედი კარებში და სულ ასკინელეს თამაშით მივედი შინ. ვადვეცილე ხურჯინი, ჩვეილე ჯიბეში „სიზონი ბილეთი“ და ჩიკ ჩიკ... ჩიკ-ჩიკით ჩვეედი სტანციაში. დეიკრა ზენოკი თუ არა, შიქნა ქალბის კორიალი, კაცების ტვირა-პირის თეთქვა. ჩამოვიკდე ხურჯინი და მე შესამე ატაეაზე ამოუჯედი ერთ დიდ კარზინკას.

დეიძრა პოეზი თუ არა მომესმა კანდუხთორის ხმა:

— ჩია ხურჯინ? სნიმატი სკარგი!

— ჩემი ბ-ნო, მინდოდა სკამეიკი ქვეშ შემე-ნახა, მარა იქინე თქვენ სტუმრებსა სძინავთ.

— ეტო ნი ტევი დელა! დავი ბილეთ.

უწვენე „სიზონი“ თუ არა მისთანა მრეხვა ბილეუის ვასჭრელი მაშინკა ფეხში, რომ რიხინ-რიხინით ჩამვეედი მე და ჩემი მეზობელი კარზინკა ზევიდან.

— რაზე ტი ნინაიშ პო პრეკანანიე ნაჩაღნიკ დაროვე „სიზონი“ ბილეტამი ნა „სკამეიკი სიდეტ“ ნე იმეტ პრავა. ამ ჩხუბში ვინცხამ მოიკიდა ჩემი ხურჯინი და ქე შივა.

— მეიკა ძამია! თქვენ შეგეშალათ, ში ხურჯინი ჩემია!

— შენ სიცხე ხომ არ გაქვს ჩემ ხურჯინს შენ მასტავლი?

მვეიდა ის და წავიყვანა ორივე. შევედი


# ელენეს კაბა

(პატარა მოთხრობა)

I

კონტორაში და დოუნინშნეს ჩემ ხურჯინს ზასედა-  
ნიე. ილაპარაკეს უენოთ, აპკუნეს თვალები, იფ-  
ხანეს ჯიბესთან და ვინაჩენი გამეტანეს ამფერი: ნა-  
ობაზით ხურჯინს და მიმტანს (სასჯელს შეიხდიან  
იმავე კანტორაში) და მე სრული განთავისუფლება.  
ასე დამთავრდა ჩემი მგზავრობა.

აღძამია.



## ღაკაშები


(ბუტუნას სააგენტო)

ბ-ნი „მზიფავი“ სამეგრელოს ეპარხიიდან დაბ-  
რუნებული გამგზავრა გურიაში სასულიერო საქ-  
მების განსაკუთრებულ მონღობა.ილობათა სიძიელათ.

ბ-ნი „ფავლთშაქცი“ დაბრუნებულა ფოთში  
ავარაკიდან და შეუღდა თავის თანამღებობის აღ-  
სრულებას.

ქ-ნი „როკაპი“ ცნობას იძლევა, რომ ის ამ  
დღეებში დაუბრუნდება თავის პოსტს, ის ზაფხუ-  
ლის გამო დასასვენებლათ იყო ავარაკ „ჩეგოლაში“\*)

უფ. წინასწარმეტყველი „თილისმა“, რომე-  
ლიც მალიარიის (უტყური) ავითმყოფობით შეპყრო-  
ბილი ექიმების რჩევით „ახტალის“ ტალახებში იყო  
საბანათო წასული, სავსებით განკურნების და აღ-  
რე დაბრუნების ცნობას იძლევა, რამაც დიდათ გა-  
ახარა ჩვენი სააგენტო.



\*) ჩეგოლა—ცნობილი თე რი მთა სამეგრელოში.

საბრალო ელენე! ძლივს ეღირსა ახალ მოღის  
კაბა!.. მაგრამ, როდესაც ვამბობ „ეღირსა“ მეთქი,  
მეშინია ამ სიტყვით უნებლიეთ შეცდომაში არ  
შეგიყენოთ; არ იფიქროთ, თითქოს კაბა სრუ-  
ლიათ მზათ იყოს და ტანზე ჩაქვის მეტი არაფერი  
სქიროდეს, არა! მაგრამ უმთავრესი მშვიდობიანათ  
დააგვირგინა ელენემ! საცაბე უკვე ნაყილია, შესა-  
კერი ფულიც ჯიბეში აქვს, ხეალ მკერავს ჩაურბე-  
ნინებს, შემდეგ ორჯერ-სამჯერ მოიზომებს და...  
მორჩა, ორი ღღის შემდეგ კაბა მზათ იქნება, ორი  
ღღის შემდეგ ელენეს შექმლება ახალ მოღის კაბით  
სიარულის ოპ ღმერთო ჩემო! რა ბედნიერი დღე  
იქნება ის დღე ელენესათვის!..

ენა ყველაფერს ადვილათ იტყვისი „ახალ მო-  
ღის კაბის შეკერვა“! რა ადვილი სათქმელია, მაგ-  
რამ იცით კი როგორ დაუჯდა ელენეს ვე კაბა?  
მერწმუნეთ რომ ვერც გაიკებთ, სანამ კარგათ არ  
გაეცნობით ელენეს ტანჯულ ცხოვრებას!..

სწორით გულქვა აღამიანი ელენეს ქმარი,  
ლუარსაბი! ვინ მოსთვლის რამდენი ეხვეწა ელენე  
მას, რამდენი ემუღარა, რამდენი ცრემლები დაღვა-  
რა, მაგრამ ამათ! თითქო ლუარსაბს გულის მა-  
გიერ ცივი, ქვა ეღოს მკერდ ქვეშ.

დაღონდა ელენე, სევდამ შეიპყრო იმისი  
უშანკო გული; ის ნათლად ხედავდა რომ ხევწნით,  
და ცრემლებით ვერაფერს გახდებოდა ჯიუტ ქმარ-  
თან. დიდი ფიქრის შემდეგ ელენე დარწმუნდა, რომ  
მას მხოლოდ ერთად ერთი გზა დარჩენოდა და ვე  
გზა იყო, გზა ბრძოლისა! მან გადასწყვიტა რაც  
ნებაყოფლობით ვერ მოიპოვა ის ბრძოლით მოე-  
პოვებია და აი კიდევაც დაიწყო საბედისწერო  
ბრძოლა.

II

მშვენიერი მაისის საღამო იყო! ცოლქმარი  
დერეფანში მაგდას შემოსდომოდენ და გრილ  
პარზე უღარდელათ შექცეოდენ ჩაის. ორთავე  
კარგს გუნებაზე იყო. განსაკუთრებულ სიზხიარუ-  
ლეს ელენე იჩნდა; ის წამ და უწყობ კისკისებდა  
და ცდილობდა მისი სიზხიარულე ლუარსაბსაც გა-  
დასდებოდა; ბოლოს, რაკი დარწმუნდა ელენე,

რომ ლუარსაბი მართლაც კარგ ხასიათზე იყო და მაღინადაც იხლუვებოდა ჩაის—გადასწყვიტა გაფხიარება მისთვის თავისი სურვილი.

მაგრამ ელენე არ ვახლდათ აქაერებული ხასიათის ქალი, რომ ლაპარაკი პირდაპირ სავანზე დაეწყო. ის ყველაფერში ღიწკრიათ და წინდახედულათ იქცეოდა. ამიტომ მან პირველათ სულ სხვა, გარეშე, სავანზე ჩამოავდო ლუარსაბთან საუბარი; შემდეგ ნელ-ნელა და დიდი სიფრთხილით გადავიდა საერთოდ მოდაზე, შემდეგ კი ახალ მოდაზე. აქ მან ჩამოთვალა მისი ყოველივე ღირსება, აღნიშნა, თუ როგორ აკობტყავებს და აღამაზებს ის ტანს, თუ როგორ უხდება მალღოს ან დაბალ ქალს, მსუქანს, თუ ხმელს, შავკრემანს, თუ თეთრ ფეროვანს; ერთი სიტყვით ისე გაერთო ელენე ამ ლაპარაკში, ისე გაიტაცა ახალ მოდაზე საუბარმა, რომ მას ყველაფერი დაევიწყდა, დაევიწყდა თვით ჩაის დალევაც კი, რომელიც ყინულივით გაცივებულიყო; ის ვერაფერს ხედავდა ამ დროს თავის გარშემო: ვერც შავიდას, ვერც ლუარსაბს, ვერც თვით ბაღრ მთვარეს, რომელიც ის იყო თავგამოწონეთ ამოკურებულიყო მთების გადაღმინდან, სწორეთ ელენეს პირდაპირ გაჩერებულიყო, უღიმოდა მას და თავის ვერცხლის ფერ შუქს უხვად აფრქვევდა მის მშვენიერ ცოტათი შეწითლებულ სახეს; ოჰ, ღმერთო ჩემო! როგორ ლაპარაკობდა ამდროს ელენე! ის სიტყვებს სრულიად არ ეძებდა, სიტყვები თავის თავათ მოდიოდა, მოჩუბჩუბებდა მის ლალისფერ ტუჩებიდან, ვით მთიდან გადმოშქვეფარე ანკარა ნაკაღული.

ლუარსაბი დიდ ხანს პირდაღებული შესტკეპროდა ელენეს. მას ვერ წარმოედგინა ვინ იღვა მის წინაშე, ელენე თუ სხვა ვინმე და როდესაც დაიწუნდა, რომ ის ნამდვილი ელენე იყო, ნაღვლიანად ჩააქნა ხელი და რაღაც გამოუჩვეველ ფიქრებს მიეცა.

— ჰოდა, ასე, ჩემო კარგო! ასეთი კარგია დღევანდელი ჩენი მოდა! ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერია, რა გასაგებებელია! პირდაპირ ენით ვერ გამომიტყეავს მისი სიმშვენიერე!.. მიტომაც არის, რომ ახლა ყველა იმას იკვრავს!.. მან განგებ დაჯერდა, თუ ნახავ სადმე, ან ქუჩაში ან ბაღში, ისეთ ქალს, რომელიც ამ მოდაზე არ იყოს გამოწყობილი!.. მგონი ჩემს მეტს ყველას შეუკვრავს!.. მეც ხომ მათში ვერ გამოწყდები (ეს სიტყვები ნაღ-

ლიანად და ოდნავ გასაგონავე ელენეს). .. მეც მაქვს სურვილი, რომელიც, რასაკვირველია თუ შენ მიიღებ ამ ჩემ თხოვნას და საჭირო ფულსაც გადმომცემ!..

ელენე დაღულდა და მომღიბარი სახით მიცქერდა ლუარსაბს. ლუარსაბს ეგ სიტყვები ლახვარით მოხვდა გულში. ის მეტის მეტად ხელმოშპირნე კაცი იყო და საშინლით ეზარებოდა ფულის უბრალოდ დახარჯვა. აგერ ხუთი თუ ექვსი წელი მსახურობდა რაღაც დაწესებულებაში და არავის არ უნახავს, მას ექვიდოს, ან თამაშობა და ფული უმინაშენილოთ გაეფლანგოს. შეიძლება ამიტომაც იყო რომ ლუარსაბს ამხანაგებში „ქუნწის“ სახელი ჰქონდა დავარდნილი და ზოგი ზედმეტ სახელათ „პლიუშკინსაც“ კი ეძახდა.

ასე თუ ისე ელენეს სიტყვებმა საშინლით იმოქმედა ლუარსაბზე; ის დაიბნა, აღარ იცოდა რა პასუხი მიეცა ცოლისთვის. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა. საზოგადოთ ლუარსაბს ხანგრძლივი ლაპარაკი არ შეეძლო, ანიწყებდა თუ არა რასმე, თითქოს უფროსის წინაშე სდგასო, ისე აღელდებოდა, გული აუტოკტებოდა, სიტყვები ყელში მოეჭივნებოდა, ან და უეცრად გაუსლტებოდა და მისდევდა მათ ლუარსაბი, მისდევდა, ისინი კი ცელქი ბავშვივით ხან აქ დაემალებოდა ხან იქ, ბოლოს ისეთი ადგილას ჩაქვრებოდა, რომ ლუარსაბი ვერას პოულობდა მათ და იძულებული იყო სირცხვილისაგან შეწითლებული ჩაშუმებულიყო. ოჰ, რა შესაბრაღისი იყო ამ დროს ლუარსაბს. მაგრამ, რადგან საქმე ფულზე მიღვა ლუარსაბმაც მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე, რომ ღირსეული პასუხი გაეცა ცოლისთვის და ათრთოღებულიც ხნით დაიწყა: — ელენე!.. მე... შენი საქმე!.. ძალიან მიკვირს... შენც კარგათ იცი რომ... რომ... მე შენს მოყვანაზე დიდი ხარჯი ვნახე... ცოტა ვალიც დამეღვა... საკუთარი სახლი არ გვაქვს... უნდა რამე.. ამგზე ვიფიქროთ... და ეკონომია თუ არ დავიპირეთ... როგორ იქნება... თუ ყოველ თვეში ახალი კაბა იკვრე... აქ კიდევ უნდოდა ლუარსაბს რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვეღარ იპოვა, გაჩუღდა და თავისი სიტყვები მხრების აწვეით დაასრულა.

ელენეს არაფრათ იამა ლუარსაბის ასეთი პასუხი.

— „როგორ შეეცდი, რომ ამ დათვის გავყვი-

ცოლათ, — ფიქრობდა ის — ამბობდენ მდიდრია, ფულები აქვს თავის ცოლს დედოფალივით აცხოვრებსო... და ახლა შეგე, ერთი კაბისთვის როგორ აქვირებს საქმეს! რა ძუნწი რამ ყოფილა შენი ქირიო! <sup>4</sup>

— დიდი საქმე არ არის ერთი კაბა, — ხმა მალა დასძინა ბოლოს მან, — არც ისე ძვირათ დაჯდება, შენ რომ ფიქრობ! ეს ერთი მიყიდე და მეტს არ გთხოვ! ლუარსაბმა დუმილით უპასუხა. ის წამოდგა და ოთახში შევიდა. ასე დასრულდა პირველი ცდა ელენესი.

მეორე დღეს კიდევ გაახსენა ელენემ ლუარსაბს თავისი კაბა, მაგრამ ლუარსაბი ისევ ჩვეულებრივი ფილოსოფიური დუმილით აძლევდა პასუხს.

მესამე დღეს კვლავ ჩამოავლო ელენემ ლაბარაკი კაბის შესახებ და ცრემლ მორეული ვეცდებოდა სურვილის შესრულებას, მაგრამ ლუარსაბი მაშინვე ზეზე წამოდგა და თითქოს, რაღაც საშუარო საქმე აქვსო, ქული დაიხურა და სწრაფი ნაბიჯით გასწია ქალაქისკენ.

ასე გასტანა ათიოდ დღემ. ლუარსაბის ასეთმა ქცევამ ელენე მოთმინებიდან გამოიყვანა. და თხოვნა მუდაროდან ბრძოლაზე გადაიყვანა. იასრალ ელენემ ამ ბრძოლაში ღანძღვა-გინება და თავისი ცრემლები გამოიყენა. ამის შემდეგ აღარ გათენებულა ისეთი დღე, რომ ელენეს ერთი აუარ-ზაუარი და ალიაქოთი არ აეტეხა სახლში და წყველითა მწარე სიტყვებით არ შეემკო ლუარსაბი.

— რას დგებოდი ჩემს ცოდვაში, რისთვის წამიყვანე თუ ვერ მარჩნდი, თუ ვერ ჩამაცმევდი, თუ ვერ დამახურავდი! ვინ გეგვეწყობდა? განა ამ ოთახში უნდა გამოვიხრჩე, ქუჩაში ვერ გავიდე, სხვებივით ვერ გავიარ — გამოვიარო! ეს ყველა იმისთვის, რომ კაბა არა მაქვს კაბა, გესმის შე დათვო! (ლუარსაბი მარალაც გარეგნული შეხედულებით დათვს მოაგონება დადამიანს.) რას იტყვი ხალხი, ერთი კაბა ვერ უყდა მისმა ქმარმაო, ქუჩაში სირცხვილით ვერ გამოდისო! ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ამისთანა სიციხეს სიკვდილი არა სჭობია! <sup>5</sup> უმასპინძლებოდა ელენე სამსახურიდან დაბრუნებულ ლუარსაბს. ამ სიტყვებს მოჰყვებოდა, ათასი სიმწიარე, და ბოლოს ყველა ეს ცრემლებით დაშთავრდებოდა. ელენე ამ დროს უტყარად ამოვარდნილ გრიგელს მოაგონებდა ადამიანს; გრიგოლს, რომელიც გრგვინით და რისხვით მოე-

ლინება არე-მარეს, მიღწე მოღვეწევეს ეკლავფერს, იქროლებს, იგუგუნებს, ბოლოს უტყარადე ქანელდება და ანაზღულოთ კოკის პირულ წვიმას წამოუშენს.

დღე ხანს იგვრიგბდი ლუარსაბი ქალის სასტიკ იერიშს, მაგრამ ბოლოს ელენემ მიანიც თავისი გაიტანა! ლუარსაბი თან და თან სუსტდებოდა, ბოლოს მიუდგომელი ციხე დაეცა!

ათრთოლებული და აქანკალეზული ხელით ამოიღო მან ჯიბიდან ფული და წყველა-კრულვით გადასცა ელენეს.

ოჰ როგორის აღტაცებით შეეგება ელენე ამ ფულს! აქამდე შექმუხენელი და რისხვის გამოხმატველი შუბლი უტყართ გაეხსნა, დასველიანებული თვალები მსწრაფლ აენთა და გაუბრწყინდა, ლამაზ ლოყებზე ვარდის ფერმა გადაჰკრა, ლალისფერი მოკუშული ტუჩები ღიმილმა გაუპო და მთელი მისი სახე რაღაც უჩვეულო, ციდან მოვლინებულ ბედნიერებას გამოსახავდა.

ელენემ საჩქაროთ ჩაიცვა ტანთ და გასწია ქალაქისკენ თავის ნაწატრი საკაბის საყიდლოთ.

### III

საქმიათ შეზინდებული იყო, როდესაც ელენე დაბრუნდა. მოდის, იღლიაში ამოუღვია თავისი ძვირფასი განძი, სახე უღიმის, გული სიამოვნებით უთრთის, ხელები სისხარულისაგან უქანკალებს. მოდის და თან სანეტარო ფიქრებს გაუტაცნია: აი ხვალ დილით ჩაუტანს თი კაბებს მკერავ ქალს... ორ სამ დღეში კაბა მზათ იქნება, მკერავი მოწიწებით მოუტანს მას, ელენე კაბას ჩამოართმევს, ხეღერ ფულს ჩააბარებს და ათრთოლებული ხელით შემოტანს კაბას თავის ოთახში. საჩქაროთ მოაზომებს, თუ როგორ დაადგება ტანზე, თუ როგორ დამვენდება... და აი საღამოს შეზინდებისას, ახალ მოდის კაბაში გამოწყობილი გაქროლდება ის სასეირნოთ ქალაქის ბაღისკენ.

მაგრამ ელენე ამ ნეტარებასთან ერთად რაღაც გამოურკვეველ, იღუმალ მწუხარებასაც გრძნობდა. მას ვერ აეხსნა, ამისი მიზეზი:

— რა შემართება? რა არის, რომ გულის სიღრმეში რაღაც უსიამოვნებას ვგრძნობ?.. ეჰ, აღბათ ლუარსაბი შემიხებს საწყესს, — მიადეია გული ელენემ, — დეე, რამდენიც უნდა იმდენი იბუზღუნოს! რას დავებე! <sup>6</sup> ამ ფიქრში მოხდენილათ აირ-



ბნა კიბე, შეაღო კარები, საჩქაროთ გადაიძრო ჭეღი, გაისწორა თმა, გახსნა თავის ძვირფასი განძი, ერთხელ კიდევ შეხედა, გაუღიმა, ერთი კიდევ აკოცა, ისევ შეხვია და გულის ფანქვალით ჩაღვა თავის კომოდში. უჯრა დაკეტა და მეტი სიხარული-საგან დაქანტული იქვე ტახტზე დაეშვა. ელენემ დაწოლის შემდეგაც ვერ მოისვენა. ბოლოს როგორც იყო ჩაეძინა, მაგრამ აქ სიზმრებმა არ გაახარა. ვინ იცის რა არ ესიზმრებოდა, რა არ ელანდებოდა, რას არ ხედავდა. გათენებისას მან ასეთი უცნაური სიზმარი ნახა: ის თითქოს ზის ალისფერი სინათლით გაბრწყინებულ ოთახში, ტანზე აცვია ტყის ფერიებისაგან მონაქოსი ცის ლავჯარდის ფერი კაბა. კაბას აქა იქ ჩაქსოული აქვს რაღაც უჩვეულო ძვირფასი ქვები, რომლებიც ვარსკვლავებით ციმციმებენ და თავის სანეტარო მომხიბვლელ შუქით ავსებენ ოთახს; ოთახში კი შემოკრებილან ოთვლიანი სნეტაკ ტანსაცმელში გამოწყობილნი ციურნი ასულნი. ფერიები ციურ ხმაზე გალობდნენ და დრო გამოშვებით ხელი-ხელ ჩაკიდებული დეღურს უვლიან ელენეს ირგვლივ, შეხარბან და ულოცავენ მას ახალ კაბას. ელენეც არაჩვეულებრივ სიხარულს განიცდის, სურს წამოდგეს, ჩაერიოს მათში, მათთან ერთად იცეკვაოს, მაგრამ ვერ ახერხებს, რაღაც უშლის, კიდევ რცხვენია; ბოლოს ის დასძლევს ამ სირცხვილს, წამოდგება ზეზე, გაუშვებს ხელს, რომ ჩაებას საერთო ფერხულში სამხიარულოთ, მაგრამ ოდნავ შეეხება თუ არა მისი კაბა ფერიებისას ოთახში უფრათ დაბნელებმა, ფერიები გაქრებიან, მთელ ოთახში რაღაც ყრუ გრვინვა გაისმის, ელენეს შიში შეიპყრობს; იგი უნებურათ დახედავს თავის უცნაურ კაბას, მაგრამ შოი, საშინელებავ! კაბა სულ გაშვებულა, ძვირფასი ქვები საღაც გამქრალა, მათ ადგილას კი თითქოს ცეცხლისაგან გამოშვარი ცალიერი ადგილები დარჩენილა. ამის დანახვზე ელენე ერთს საზარლათ დაიკვილებს... და გამოეღვიძება.


უკვე გათენებულიყო, ახალ ამოსული მზე მზიარულათ ათამაშებდა თავის სხივებს მის ფანჯარაზე. ელენე ჯერ კიდევ სიზმრიდან ვერ გამოკეულიყო, მას ისევ თვალ წინ ედგა ნახული სიზარელი სიზმარი და შეშინებულის თვალებით ათვლიერებდა ოთახს, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ მას მართლაც გამოღვიძებოდა და ის რაც ნა-

ხა ყველაფერი სიზმარი იყო, სიხარულით სთიშმა გაუშუქა სახეზე.

— „ღმერთო შენ გმადლობ, რომ სიზმარი იყო და არა ცხადი.—წარმოსთქვა მან და საჩქაროთ წამოდგა, ჩაიცვა ტანთ, ხელ-პირი დაიბანა. სახლში ერთი ხმაურობა ასტება: მეტის-მეტეი სიჩქარისაგან ხან ერთ სკამს დაეჯახებოდა, ხან მეორეს, ხან მავიდას წაებოკროდა, ხან კარს, კარი კი ხრიწიანის ხმით მოჰყვიროდა გულშემზარავ ჭრიალს; ერთი სიტყვით მთელ სახლში ისეთი ხმაურობა იღვა, რომ მძინარე კი არა მღვიძარეც ვერ გაუძლებდა. ამ ტრიამულმა ლუარსახვაც დაუფრთხო ძილი. ის მოჰყვა რაღაც გაუგებარ და დაუსრულებელ ბუზღუნს, მაგრამ ელენეს ახლა მისთვის არ ეცალა. ის საჩქაროთ ეწყობოდა: „პულრს“ იცხებდა, თმას იქოჩორებდა; სარკეში წამ და უწუმს იცქირებოდა, ხან მარჯვნივ გადახრებოდა, ხან მარცხნივ... აი კიდევ გამოეწყო! წასასვლელათაც მოემზადა! გულის ფანქვალით მიუახლოვდა თავის კომოდს, ათროლოებული ხელით გადაატრიალა ვასალები, გამოსწია უჯრა, ამოიღო თავისი ძვირფასი განძი, გადაშალა და... ოჰ! რას ხედავს მისი დასაწვავი თვალები?! საკაბე მთლათ... ახ მიჭირს თქმა!.. საკაბე თითქმის მთლათ დაეხრა დაწყვეტილ თაკვებს, რომლებიც ასე უხვათ გამრავლებულიყო ლუარსახვის ოთახში!

ელენეს თვალთ დაუბნელდა, სახე გაუფთორდა და დაენაოჯა, ტუჩები აუთრთოლდა, ხელები აუკაკალდა, გულმა საშინელი დგა-დღეი დაუწყო; ფეხები დაუსუსტდა, მუხლები მოეჭრა, დაბრული საკაბე ხელიდან გაუშვა, მისუსტებული იქვე ჩაიკვცა და გული წაუვიდა... მხოლოდ ნახევარ საათს შემდეგ მოსულიერდა ელენე. და როდესაც ისევ თვალი გაახილა და მოაგონდა საშინელი უმედურება მას წასკდა თვალთაგან ცხარე ცრემლები... ცრემლები, — ერთათ ერთი მისი მეგობარი და მანუგემული ცრემლები!

ლონე. პოდბინენკა.




# ნარილი რედაქციისადმი

ბ-ნო ეშმაკო! გთხოვ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს ჟურნალში. თქვენ პატივცემულ ჟურნალის „ეშმაკის მათრახს“ მე 32 ნომერში არის დაბეჭდილი ჩემი გურული სტენა: „ჩემი ცოლი ბახმარზე.“ ეს სტენა თავის თავზე მიუღია ჩემს მძახს, რადგანაც მას ცოლი ყავდა ბახმარზე სააგარაკოთ. ამასთანავე შიგ მომქმედ პირათ გოგია მეყვს გაამოყვანილი, მისი სახელის მოზიარე. ყველა ამის გამო მას ეს სტენა ჩხოლოთ თავის თავზე დაწერილათ უცენია და შეურაც-

ყოფილათ გრძობა თავს, რასაც უდასტურებენ ჩვენი სოფლის ზოგიერთა ჰორიკანა ქალბატონები და ვეპატონებო. ვაცხადებ ხსენებულ პირთა საყურადღებოთ, რომ ეს სტენა ჩემ მძახე არ დამიწერია და არც ერთი რომელიმე პირთვენება და მოვლენა მქონია სახეში, არამედ საზოგადო, საერთო, მოვლენა, რომელიც არც არავის არ შეურაცყოფს და არც ამკირებს, რასაც თქვენც დამიმოწებთ პატივცემულ რედაქტორო.

პატივისცემით: **ლუკაიეს ობოლი.**

## კახეთის რკინის გზაზე



მგზავნია, რა ამბავია, მატარებელი რისთვის სდგას ამდენ ხანს? კონდუქტორი. არაფერი ბატონ, მემანქანე წავიდა ახლო სოფელში ჯვარის საწერათ. ორ-სამ საათში დაბრუნდება. ვითომ რა ვეაქტორებს!